სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N 434

ქ.დუშეთი

21 ნოემბერი 2016 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB033001002001165022 _ (შემდგომში - ,,შემსყიდველი")

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ: ინდ/მეწარმე „მიხეილ ზაქარიაშვილს" შორის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ . დუშეთი, ბაჩანას ქ. N 27 ს/კ 16001008780 , მომსახურე ბანკი - ,,ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE14LB0112150436356000 - (შემდგომში - ,,მიმწოდებელი")

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შენყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 11 ნოემბრის #3141 განკარგულებისა (SMP160002898) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე", ,,კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი; ქ.დუშეთის მუნიციპალიტეტში ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება უნდა განხორციელდეს CPV – 71200000/71247000,

1)ჭონქაძის ა/ე ქვემო აშის გზის დაზიანებული მონაკვეთის შეკეთება. 25ლარი

2) ჭონქაძის ა/ე ახალაანებიდან მგლიანამდე გზის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება. 35ლარი

3) ჭონქაძის ა/ე თანიაანთკარში დიდებაანთკარის მხრიდან მისასვლელი გზის გაკეთება..78ლარი

4) ჭონქაძის ა/ე სოფელი ტონჩა მისასვლელი გზის და შიდა გზების დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება.11ლარი

5) ჭონქაძის ა/ე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა თენგიზ თამაზაშვილის სააგარაკო სახლის და ეაკვეთისმიმდებარედ.66ლარი

6) ჭონქაძის ა/ე არაგვისპირი-არსებული გაბიონების წაქცეული და დაშლილი მონაკვეთების აღდგენა.80ლარი

7) ჭონქაძის ა/ე არაგვისპირი -არაბული მამუკას სახლთან ხევის მარჯვენა ნაპირზე ჩამოქცეული

მონაკვეთისგამაგრება,123ლარი

8) ჭონქაძის ა/ე არაგვისპირი-მეზვრიშვილი ავთოს სახლთან ხევის მარჯვენა ნაპირზე ჩამოქცეული მონაკვეთისგამაგრება.10ლარი

9) ჭონქაძის ა/ე არაგვისპირი-არაბული ავთოს სახლთან ხევის მარჯვენა ნაპირზე ჩამოქცეული

მონაკვეთისგამაგრება.6ლარი

10) ჭონქაძის ა/ე არაგვისპირი-ნაპირსამაგრი გაბიონები ბლოკის საამქროსთან მარცხენა სანაპიროზე. 26 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 460 (ოთხას სამოცი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციიის საფუძველზე

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი ქალაქ დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ი ქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: ა) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება; ბ) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა; გ) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლ ის 31 დეკემბერი

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა)უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;

7.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების პროცესში შემსყიდველს მიაწოდოს ინფორმაცია ყოველ 10 დღეში სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

7.6 მიმწოდებელი ვალდებულია –სამშენებლო ნორმებითა და წესებით, აგრეთვე ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული, მშენებლობის ხარისხის და ფარული მოცულობების განმსაზღვრელი დოკუმენტების შედგენა და გამოყენება (ფარული სამუშაოების აქტები, მოცულობათა ან ფასთა ცვლილებების აქტების შედგენა, ლაბორატორიული გამოცდის ოქმების გაშიფრვა, მასალების

სერთიფიკატის ან ტექნიკური პასპორტების მოთხოვნების პრაქტიკული გამოყენება) – საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო მოცულობების გამოთვლა, მათი გადამოწმება და გაანგარიშება

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები: ა)„მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. ბ)სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება. გ)„მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელ შეკრულებო ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით 11 გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით. .

შემსყიდველი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი : /ვ.ჩოხელი/

მიმწოდებელი

ი/მ ,,მიხეილ ზაქარიაშვილი'' /მ.ზაქარიაშვილი/

იურისტი: